ოქმი:**ო05. 3726202001**

თარიღი:**21/07/2026**

ოქმი N 11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2026 წელი, 10 ივლისი

ქ.ოზურგეთი

16:00 – 17:00-საათი

თავმჯდომარეობდა: გოჩა მდინარაძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ლ. კილაძე, გ. კილაძე, ხ. ცერცვაძე, ზ. სურგულაძე, ლ. კვაჭაძე, ქ. კვაჭანტირაძე, ე. გორდელაძე, ტ. აროშიძე.

სხდომის თავმჯდომარემ გ. მდინარაძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი; გენო მორჩილაძე

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ"- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენიებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების დებულებების დამტკიცების შესახებ" -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტების განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი; გენო მორჩილაძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გ. მდინარაძემ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილებების პროექტები, არსებული კანონმდებლობის თანახმად, იდგნენ საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, განსაზღვრულ დროში საკრებულოში წინადადებები და შენიშვნები არ შემოსულა, შემდეგ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, განაცხადა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტში მიზანშეწონილია რეორგანიზაციის განხორციელება, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი სრულად შეესაბამება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექს“-ის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ, რომელმაც განმარტა დადგენილების მიღების მიზეზები, ისაუბრა მოსალოდნელ შედეგებზე, შემდეგ კომისიის წევრებს გააცნო პროექტი მუხლობრივად. ყურადღება ძირითადად გაამახვილა შეტანილ ცვლილებებზე. განაცხადა, რომ 20 მეორადი სტრუქტურული ერთეულიდან რეორგანიზაციის შემდეგ დარჩა 14, ხილო პირველად სტრუქტურულ ერთეულს დაემატა ერთი-„შესყიდვების სამსახური“. რეორგანიზაციის შედეგად წლიური ეკონომია იქნება 176 ათასი ლარი. დადგენილების პროექტის გაცნობის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ, ამის შემდეგ, კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის და მისი სამსახურების დებულებების პროექტები, ყურადღება გაამახვილა მათში შეტანილ ცვლილებებზე, უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

კომისიის წევრმა ე. გორდელაძემ დასვა შეკითხვა-ისპექტირების განყოფილება გაუქმდა, ვინ შეარულებს იმ სამუშაოებს? განუმარტეს, რომ უფროსი სპეციალისტი.

კომისიის წევრმა ლ. კილაძემ განაცხადა-ზოგიერთ სამსახურში არის რამდენიმე განყოფილება, ზოგან ერთი, ეს საკანონმდებლო დარღვევას ხომ არ გამოიწვევს? განუმარტეს, რომ იმ სამსახურში, სდაც ერთი განყოფილებაა უფროსი სპეციალისტი უშუალოდ სამსახურის უფროსის დაქვემდებარებით შესრულებს სამუშაოებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტების საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო კომისიის წევრმა ხ. ცერცვაძემ.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნები და სხდომის დღის წესრიგში შეტანილი დადგენილების პროექტები წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.